№27
(10938)
ივლისი.1995 წ.
ფასი 800 რუბლი, ან 200 000 კუპონი.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„როცა ერთმანეთს ორი ვეფხვი შეხვდება, ერთი უსათუოდ უნდა დაიჭრას, მეორე კი მოკვდეს“!..

კარატე-დოს ოთხი ძირითადი სტილიდან — სოტოკანი, ვადო-რიუ, გოძიუ-რიუ, შიტო-რიუ უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად არის ცნობილი. არადა, ამ სტილის სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ 1967 წელს დააარსა გენძო სატომ მოსკოვში, იყო პირველი ასეთი სასწავლებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ინფორმაცია შიტო-რიუს შესახებ მართლაც უმნიშვნელოა. წიგნი კი მისი არსისა და წესების შესახებ არსებობს მხოლოდ ერთადერთი. ამბობენ, ეს იყო შეგნებული პოლიტიკის ნაყოფი. წიგნი განკუთვნილია მხოლოდ ინსტრუქტორებისათვის, მოწაფეებმა კი ცოდნა აღმოსავლური სიბრძნის თანახმად უშუალოდ მასწავლებლებისაგან უნდა მიიღონ.

შიტო-რიუ იაპონიაში ყველაზე გავრცელებული სტილია. სხვა მისმა ნაირსახეობებმა კი დიდი ხანია შეუტიეს ევროპისა და ამერიკის ბაზარს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ასე რომ, შიტო-კაი დღესდღეობით ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს შიტო-რიუს, კარატე-დოს სრულიად იაპონიის ფედერაციაში.

ერთი საინტერესო დეტალი: შიტო-რიუში პრაქტიკულად არ არის ხალხი, რომელთა არსებობა მთლიანად კარატეზე იყოს დამოკიდებული. ამას ისტორიული ფესვები აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ სტილის შემქმნელი კენვა მაბუნი არისტოკრატიული წარმოშობისა იყო და გარემოცვაც, ბუნებრივია, შესაბამისი ჰქონდა — მოსწავლეები დიდგვაროვანი ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ, მეცადინეობები კი, უმეტესწილად პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ტარდებოდა. სწორედ ამიტომ დღესაც დიდ ოსტატს თავისი საკუთარი ბიზნესი აქვს და არ არის დამოკიდებული არავისაგან. ეს საკმაოდ ბრძნული წესია: როცა მოწაფე არ იხდის სწავლის საფასურს, მწვრთნელი მდგომარეობის ბატონ-პატრონია და ყველა საკითხს თავისი შეხედულების მიხედვით სწყვეტს.

შიტო-რიუ ნელ-ნელა პოპულარობას იძენს მსოფლიოში. იაპონიის ვაჟთა და ქალთა ნაკრები სამართლიანად ითვლება საუკეთესოდ. მსოფლიო კარატეს მთავარი მსაჯი ტომი მორისი სწორედ შიტო-რიუს მიმდევრად ითვლება. ამ სტილითაა გამორჩეული ყველაზე ტიტულოვანი კარატისტი, ესპანელი ხოსე ეგეა და თავად ესპანეთის გვირგვინოსანი ხუან კარლოსი.

მაინც რით განსხვავდება შიტო-რიუ დანარჩენი სახეობებისაგან? მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა საერთოდ კარატე-დოზე, რომელიც ბევრს შეცდომით უკონტაქტო ბრძოლად მიაჩნია. კარატე-დო სხვა აღმოსავლური ორთაბრძოლებისაგან განსხვავდება იმ ისტორიული პირობებით, რომლებშიც მოხდა მისი განვითარება.

ოკინავა, სადაც წარმოიშვა კარატე, იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო მძლავრი ჩინური ორიენტაციითა და გავლენით. სწორედ ამიტომ, ჩინელი სამხედროები აფუძნებდნენ ოკინავაზე თავიანთ კემპოს — ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებას. XVII საუკუნეში იაპონე-

იხ. მე-2 გვ.



ამ კაცმა გაანგბილა 300 მებრძოლი და ზედიზედ მოკლა... 48 ხარი!

კონტაქტიანი კარატეს ლეგენდას უწოდებენ მასუტასუ ოიამას — საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, რომელსაც მეათე დანი აქვს და სპეციალისტები აღმოსავლური ორთაბრძოლების ერთ-ერთი მიმდინარეობის ფუძემდებლად მიიჩნევენ. იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ოიამას შესაძლებლობები, გეტყვით, რომ მაყურებლის თვალწინ ხელის თითო დაკვრით მოკლული ჰყავს 48 ხარი ზედიზედ. შეუსვენებლად აქვს ჩატარებული 300 ორთაბრძოლა და ყველა — მოგებული. იგი შეყვანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მკვრივი საგნების ხელით მსხვრევის რეკორდსმენი.

* * *

სურათზე: მასუტასუ ოიამა.

ამასაც მოვესწარით!

გიხაროდეს!

სასიხარულო, შეიძლება ითქვას, ისტორიული ცნობა შევიტყვეთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფადან მიიღო №591 ცირკულარული წერილი, რომლითაც უფლებას აძლევს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ოფიციალური განაცხადი (30 სექტემბრამდე) წარმოადგინოს საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

განაცხადთან ერთად, ფიფას ანგარიშზე უნდა შევიტანოთ საწევრო ანარიცხი — 3000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით.

შესარჩევი ტურნირი, რომლის წილისყრა წლეულს, 12 დეკემბერს ჩატარდება პარიზში, 1996 წლის 1 მარტიდან 1997 წლის 16 ნოემბრამდე გასტანს.

გიორგი ქინქლაძე —

„მკაფიო ვარსკვლავი აღმოსავლეთ ევროპაში“

გიორგი ქინქლაძე — ნახევარმცველი, დაიბადა 1973 წლის 6 ივლისს, სიმაღლე 173 სმ, წონა — 68 კგ.

კარიერა: თბილისის „მრეტები“ (მისი დებიუტი შედგა 1991 წლის 15 აგვისტოს „იბერია“ — „მრეტების“ მატჩში), თბილისის „დინამო“, „ზაარბრიუკენი“ (გერმანია), კვლავ თბილისის „დინამო“.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრია 1992 წლიდან — ჩატარებული აქვს 13 მატჩი, გაიტანა 2 გოლი.

ინგლისის ერთ-ერთი უძველესი საფეხბურთო კლუბის „მანჩესტერ სიტის“ ცხოვრებაში (დაარსდა 1887 წელს) წლევანდელი 14 ივლისი ორი ღირსსახსოვარი მოვლენით აღინიშნა: „სიტის“ თავმჯდომარესთან, ინგლისის ნაკრების ყოფილ მოთამაშე ფრენსის ლისთან სამწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ალან ბოლმა და იმავე საღამოს ფრენსის ლიმ და ალან ბოლმა პირველი შეხვედრაც გააკეთეს: სამწლიანი კონტრაქტი დადეს გიორგი ქინქლაძესთან.

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ქინქლაძეში კლუბმა ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 3 მილიონ 200 ათასი დოლარი) გადაიხადა.

—კლუბის თავკაცის თქმით, ქართველი ფეხბურთელით იგი ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დაინტერესებულა, როდესაც უელსის ნაკრების სახელგანთქმული ფორვარდი იან რაში შეხვედრია. ამ უკანასკნელს ისე უქია ჩვენი თანამემამულე, რომ ბრიტანელთა ინტენსიური დაკვირვების საგნად ქცეულა. მას შემდეგ კი, რაც გიორგიმ ამას წინათ „არმზ პარკის“ სტადიონზე პატარა სასწაულები მოახდინა და გატანილი გოლით ყველას დაამახსოვრა თავი, ლის მტკიცედ გადაუწყვეტია შეეძინა ქინქლაძე.

შენაძენით კმაყოფილია ალან ბოლიც, რომელიც გაზეთ „ინდეპენდენტში“ აცხადებს: „ეს არის მაღალი კლასის შესანიშნავი ფეხბურთელი, ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ვარსკვლავი აღმოსავლეთ ევროპაში“.

რამდენიმე სიტყვა „მანჩესტერ სიტიზე“: ეს კლუბი რამდენჯერმე იყო ინგლისის ჩემპიონი, პრიზიორი, თასის მფლობელი, ფინალისტი, მოიპოვა ევროპის თასების მფლობელთა თასი, წარმატებით გამოსულა მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში კლუბმა მე-17 ადგილი დაიკავა.

ფეხბურთი

პრესტიჟული ტურნირი ვლადიკავკაზში

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად დაამტკიცა მეტად საინტერესო სწრაფტურნირის გამართვის იდეა ქ. ვლადიკავკაზში. ესაა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ა. გალაზოვის სახელობის თასის გათამაშება, რომელიც სულ ორ დღეს გასტანს — 29 და 30 ივლისს.

ამგვარი ტურნირები ხშირად იმართება სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვლადიკავკაზში ჩამოვლენ საყოველთაოდ ცნობილი, ძლიერი გუნდები, კერძოდ, ბრაზილიის „ვასკო და გამა“, ბელგიის „შეჰელენი“, ესპანეთის „ატლეტიკო“ (მადრიდი), მასპინძლად მათ დახვდება ადგილობრივი „ალანია-სპარტაკი“, რომელიც ამჟამად რუსეთის ჩემპიონატის ლიდერია. 29 ივლისს შედგება ნახევარფინალური მატჩები, 30 ივლისს — ფინალი და შეხვედრა მესამე ადგილისთვის.

საინტერესოა, რომ ვლადიკავკაზის გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ქართველი ფეხბურთელები მ. შელია, მ. ყაველაშვილი, ზ. რევიშვილი, ო. თეთრაძე, ი. გრიშიკაშვილი, მათ გარდა თბილისის „დინამოში“ სხვადასხვა წლებში გამოდიოდნენ ბ. თედეევი და მეკარე ზ. ხაპოვი, ხოლო კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელია თბილისის დინამოელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გუცაევი.

მაია აზარაშვილი: ვიასპარეზებ მხოლოდ საქართველოს სახელით!

სეულის ოლიმპიადის პრიზიორი მაია აზარაშვილი ბოლო წლებში ჯერ იუგოსლავიაში აგრძელებდა მზადებას კონტრაქტით, და, ცხადია, შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა. ამჯერად კი გერმანიაშია (კლუბი „აგონი“), ჰყავს მენეჯერი ჰუბერტმაიზენი, რომელმაც ქალაქ აახენში მაიას თავის ოჯახში მიუწინა ბინა საცხოვრებლად, შეისწავლა გერმანული ენა (მანამდე სლოვენიური).

ექვსი თვის წინათ გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ თხოვნით მიმართა ქართველ კოლეგებს ნება დაერთოთ აზარაშვილს 4X100 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილეობა მიეღო ატლანტის ოლიმპიადაში გერმანიის ნაკრებში, ცხადია, გარკვეული საფასურით. გადამწყვეტი სიტყვა თვით მაიას ეკუთვნოდა, მან კი კატეგორიულად განაცხადა, რომ მხოლოდ საქართველოს სახელით გამოვა ოლიმპიურ თამაშებში.

ზოგიერთი ლეგიონერი ქართველი სპორტსმენისგან განსხვავებით, აზარაშვილის ამ ვაჟკაცური პოზიციის შეფასება მკითხველისთვის მიგვინდვია.

ამ დღეებში, მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატის წინ (4-14 აგვისტო, გიოტებორგი), ძალების წინასწარი შემოწმების მიზნით, „გრან-პრის“ ეგიდით (იაფი), გერმანიაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც სხვადასხვა ქვეყნების რჩეული ათლეტები გამოდიოდნენ. 100 და 200 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო მაია აზარაშვილი (11,45 და 22,90). შევიტყვეთ, რომ მაიამ მეორე დისტანციაზე აჯობა ცნობილ ჰაიკე დრეჰსლერს (გერმანია), რომელიც, მართალია, ოლიმპიური ჩემპიონია სიგრძეზე ხტომაში, მაგრამ წარმატებით ასპარეზობს სპრინტერულ დისტანციებზე თვით ოლიმპიურ თამაშებშიც კი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დრეჰსლერი ატლანტისთვისაც ემზადება ამ დისტანციებზე.

საკუთარი ინფორმაცია
მძლეოსნობის ფედერაციასთან ერთად

კალათბურთი

ნაკრების ათი მაჭრი ევროპის ჩემპიონატზე

დამტკიცდა კალათბურთელთა ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის კალენდარი. გთავაზობთ საქართველოს ნაკრების თამაშების გრაფიკს.

A ჯგუფი. ბოსნია, სლოვაკეთი, ისრაელი, საბერძნეთი, საქართველო, ბელარუსი.

I წრე. I ტური. 1995 წ. 8 ოქტომბერი. ბოსნია-ბელარუსი, სლოვაკეთი-საქართველო, საბერძნეთი-ისრაელი.

II ტური. 1995 წ. 11 ოქტომბერი. საქართველო-ბოსნია, საბერძნეთი-ბელარუსი, ისრაელი-სლოვაკეთი.

III ტური. 1995 წ. 12 ნოემბერი ბოსნია-საბერძნეთი, საქართველო-ისრაელი, ბელარუსი-სლოვაკეთი.

IV ტური. 1995 წ. 15 ნოემბერი. ისრაელი-ბოსნია, სლოვაკეთი-საბერძნეთი, ბელარუსი-საქართველო.

V ტური. 1996 წ. 28 თებერვალი. ბოსნია-სლოვაკეთი, ისრაელი-ბელარუსი, საბერძნეთი-საქართველო.

II წრე. VI ტური. 1996 წ. 30 ოქტომბერი. ბელარუსი-ბოსნია, საქართველო-სლოვაკეთი, ისრაელი-საბერძნეთი.

VII ტური. 1996 წ. 27 ნოემბერი. ბოსნია-საქართველო, ბელარუსი-საბერძნეთი, სლოვაკეთი-ისრაელი.

VIII ტური. 1996 წ. 18 დეკემბერი. საბერძნეთი-ბოსნია, ისრაელი-საქართველო, სლოვაკეთი-ბელარუსი.

IX ტური. 1997 წ. 29 იანვარი. ბოსნია-ისრაელი, საბერძნეთი-სლოვაკეთი, საქართველო-ბელარუსი.

X ტური. 1997 წ. 26 თებერვალი. სლოვაკეთი-ბოსნია, ბელარუსი-ისრაელი, საქართველო-საბერძნეთი.

ყოველი ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი (მოგეხსენებათ, 5 ჯგუფია), აგრეთვე მესამე ადგილზე გასული ოთხი კოლექტივი (მოგროვილი ქულების მიხედვით) 1997 წლის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებას მიიღებს. ევროპის ჩემპიონი (იუგოსლავია) და ტურნირის მასპინძელი (ესპანეთი) შესარჩევი მატჩებისაგან განთავისუფლებული არიან.

„როცა ერთმანეთს ორი ვეფხვი შეხვდება, ერთი უსათუოდ უნდა დაიჭრას, მეორე კი მოკვდეს“!

(პირველი გვერდიდან)

ლებმა დაიპყრეს ოკინავა, განაიარაღეს ადგილობრივი დიდგვაროვნები და აკრძალეს ხმლის ტარება. ეს პერიოდი ისტორიულად ცნობილია, როგორც „ხმლებზე ნადირობის“ პერიოდი.

რატომღაც არსებობს ვერსია, თითქოს კარატე გლეხებმა გამოიგონეს, მაგრამ ეს არ არის სწორი. ხმლებს მათ კი არ ართმევდნენ (ან როგორ წაართმევდნენ, როცა არც კი ჰქონდათ), არამედ დიდგვაროვნებს, რომლებმაც ჩინური კემპოს ბაზაზე შექმნეს ხელჩართული ბრძოლის საკუთარი სისტემა — „ოკინავა-ტე“ („ოკინავას ხელები“), შემდგომში კარატედ („შიშველი ხელი“) წოდებული. ჩინური კემპოდან აიღეს მხოლოდ ის ილეთები, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანის მოკვლა. ეს საჭირო იყო კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ სამურაებთან დასაპირისპირებლად. აი სწორედ მაშინ გავრცელდა პრინციპი „ისენ ხისაცუ“, რაც „ერთი დარტყმით მოკვლას“ ნიშნავდა.

და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შემოვიდა „სუნდომეს“ პრინციპი — დისტანციის კონტროლისა. ამით ვარჯიშები უხიფათო გახდა და მთლიანად გამოირიცხა ტრავმები. ორთაბრძოლების დროს მოასპარეზენი ერთმანეთს „ურტყამდნენ“ მაქსიმალური სისწრაფით, ძალით, სიზუსტით, მაგრამ უკონტაქტოდ, ვინაიდან მსგავსი დარტყმები კლავს ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, უნდა კლავდეს.

კარატეს პრინციპებს ამუშავებდნენ რეალური მებრძოლების მთელი თაობები. მათ თავიანთი ოსტატობა არაერთხელ ჰქონდათ შემოწმებული სასიკვდილო ბრძოლებში. სხვა ორთაბრძოლებს კი, რომლებიც მოგვიანებით შეიქმნა, ასეთი საფუძვლები არ გააჩნიათ. რაც შეეხება კარატეს თანამედროვე სტილებს („შეტოკანს და ვადო-რიუს), ისინი საგრძნობლად ჩამოსცილდნენ ოკინავის ძველ წესებს და ერთგვარი ხელოვნურობა შეიძინეს.

დაინტერესებული ხალხი ხშირად კითხულობს: შეინარჩუნა თუ არა შიტო-რიუმ პირვანდელი (ოკინავას) თვისებები? საქმე ისაა, რომ წინა საუკუნის დასაწყისში ოკინავაზე არსებობდა „ოკინავა-ტეს“ სამი მიმართულება „სიური-ტე“, „ნახა-ტე“ და „ტომარი-ტე“ (ოკინავას რაიონების დასახელების მიხედვით). ლეგენდარულმა ოსტატმა მაცუმურამ სისტემატიზაციაში მოიყვანა სიურიტე, მისმა მოწაფემ ანკო იტოსუმ კი დაწყებული საქმე დაამთავრა და პირველმა დამაუშავა კარატეს სწავლების მეთოდიკა.

ნახა-ტეში სისტემატიზაციაზე მუშაობდა კანრე ხიგაონა, შიტო-რიუს შემქმნელი კენვა მაბუნი კი ამ დროს იტოსუსთან და ხიგაონასთან მეცადინეობდა. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სიტყვაში „შიტო-რიუ“, ჩადებულია მაბუნის მასწავლებლის იეროგლიფების ნიშნები და აღნიშნავს „იტოსუსა და ხიგაონას სკოლას“. თქმა არ უნდა, ეს ხალხი თავისი საქმის დიდი მცოდნენი იყვნენ და ბუნებრივია, კარატეს ისტორია წმინდად ინახავს ამ სახელებსაც და მათთან დაკავშირებულ ლეგენდებს.

მაცუმურა, მაგალითად, დიდ ოსტატად ითვლებოდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ 30 წლისა გახდებოდა.

იგი კარატეს ასწავლიდა ოკინავაზე ერთ-ერთი უველაზე ძლიერი და გავლენიანი კლანის მეთაურს. ამასთან, მოწაფეთა მაღალი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ეპურობოდა მათ საკმაოდ მკაცრად. ერთხელ თურმე, კლანის მეთაურის იერიში ისე მძაფრად მოიგერია, რომ, ეს უკანასკნელი, დიდხანს იწვა მიწაზე უგონოდ. ამ ინციდენტის შემდეგ მაცუმურა გაგზავნეს სამეფო კარიდან, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, რომ მასწავლებელი სწორი იყო და უკან დაბრუნეს.

ცნობილია, აგრეთვე შემთხვევა, როცა მაცუმურამ უბრძოლველად დაამარცხა ძალზე ძლიერი და ამის გამო გათამამებული მეტოქე. ერთხელ იგი ნახაში ეწვია ცნობილ მტვიფრავს. იგი მყისვე იცნო ამქრის მეთაურმა, თავადაც კარგმა ოსტატმა და თხოვა შეგირდად ამიყვანეო, მაგრამ როცა მაცუმურასგან უარი მიიღო საქციელწამხდარმა და გაბოროტებულმა საბრძოლველად გამოიწვია იგი. მეტოქეებს სხვადასხვა ადგილი ეკავათ საზოგადოებაში და მათი შებმა არ შეიძლებოდა. მაცუმურამ აუხსნა განაწყენებულს, რომ, როცა ერთმანეთს ორი ვეფხვი ხვდება, ერთი უსათუოდ უნდა დაიჭრას, მეორე კი მოკვდეს. საღამოთი ისინი შემთხვევით მოხვდნენ ქალაქგარეთ. განაწყენებულმა მაცუმურას ვერც ერთი დარტყმა ვერ მიაყენა. მაცუმურა ვირტუოზულად იგერიებდა მათ. ოსტატმა აღიარა თავისი დამარცხება და დადო ფიცი, რომ ამიერიდან მასწავლებელს მხოლოდ მოწიწებით მოიხსენიებდა.

ბევრი ლეგენდაა დაკავშირებული ანკო იტოსუს სახელთანაც. ერთხელ თურმე, ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიულმა კარატისტმა გადაწყვიტა უკნიდან, მიპარვით დასხმოდა თავს მასწავლებელს, გამოეყენებინა მოულოდნელობის ეფექტი და ამით თავისი ძალა დაემტკიცებინა. დარტყმა, მართლაც დიდი ძალისა გამოუვიდა, მაგრამ იტოსუ განქიმული იყო დარტყმების მიმართ დაქვეითებული მგრძნობელობით (რაც წლების მანძილზე გამოიმუშავა). ამავე დროს ფლობდა „რკინის ჩავლებას“. მან ჩაიჭირა თავდამსხმელი და ასე ათრია უკანმოუხედავად, სანამ არ თხოვეს პატიება.

მეორედ იტოსუს თავს დაესხა რამდენიმე ბანდიტი, მაგრამ წამებში ისინი უგრძნობლად ეყარნენ მიწაზე. ერთმა გაოგნებულმა მხილველმა ეს ამბავი დიდის მოწიწებით გაანდო მასწავლებლის მეგობარს აზატოს, თანაც დაამატა, ყველა ბანდიტი ახლაც თავქვე გდია ბრძოლის ველზეო. აზატომ აუხსნა, რომ იტოსის დარტყმის შემდეგ ეს ჩვეულებრივი ამბავია — მოწინააღმდეგე ფეხზე ვეღარ დგებოო.

კანვა მაბუნიც მთლად ჩვეულებრივი კაცი არ იყო, თუმცა მასზე ასეთი ლეგენდები არ არსებობს. დაიბადა 1879 წელს ოკინავაზე. იყო ცნობილი მხედართმთავრის კენიუ ოსიროს მეჩვიდმეტე შთამომავალი. ბავშვობაში არ გამოირჩეოდა არც ფიზიკური ძალითა და არც სისწრაფით. სამაგიეროდ ხარბად უსმენდა წინაპართა საგმირო ამბებს და გული სიამაყით ევსებოდა. 13 წლისა მივიდა იტოსის სკოლაში და 7 წელს გულმოდგინედ სწავლობდა სიური-ტეს. მერე სწავლა განაგრძო ნახატეში, არანაკლებად ცნობილ ხიგანისთან. შემდეგ მსახურობდა არმიაში, 10 წელი გაატარა პოლიციაში, სადაც დაეუფლა კენდოსა და ძიუდოს ოსტატობას.

1918 წელს მაბუნის დიდი პატივი ერგო: მას უფლება მისცეს ეჩვენებინა კარატეს წესები იმპერატორის ოჯახის წევრთათვის, 10 წლის შემდეგ კი მოხდა ისტორიული შეხვედრა ძიუდოს შემქმნელთან ძიგარო კანოსთან. კანო აღფრთოვანა მაბუნის მიერ შესრულებულმა კარატეს ილეთებმა და აგიტაცია გაუწია მას საცხოვრებლად გადასულიყო ოსაკაში. მაგრამ იქ კარატე არავინ იცოდა, ამიტომ მაბუნიმ მოღვაწეობა დაიწყო პოლიციაში. 1930 წელს მან რეგისტრაციაში გაატარა საკუთარი სტილი — შიტო-რიუ, ერთი წლის შემდეგ კი შექმნა „დაი-ნიხონ კარატე-დო კაი“ — ორგანიზაცია, რომელსაც მოგვიანებით დაერქვა „შიტო-კაი“.

მობუნი გარდაიცვალა 1952 წლის 23 მაისს. მისი მემკვიდრეობა იკისრა ვაჟიშვილმა კენ-ეიმ — „შიტო-კაის“ სატიტო პრეზიდენტმა. ორი წლის წინ შეიქმნა „შიტო-კაის“ მსოფლიო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ ევროპის, აზიისა და ამერიკის რეგიონალური ორგანიზაციები. მოეწყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატიც, რომელშიც მონაწილეობდა 34 ქვეყანა. პირველი და მეორე გუნდური ადგილები ამ ტურნირში დაიკავა იაპონიის პირველმა და მეორე ნაკრებმა. ყველაფერი ლოგიკურია — იაპონია, ცხადია, ადვილად არ დათმობს პირველობას ამ სფეროში.

ფიშერის აზრს სხვა ფასი აქვს

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲤᲘᲨᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲑᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲐᲮᲘᲐᲜ, ᲝᲪᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲡ, ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ... ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲫᲠᲐ. ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲨᲔᲣᲓᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲗ, ᲓᲘᲓ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲫᲚᲐᲕᲜᲔᲑᲔᲡ ᲑᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲯᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲐᲢᲩᲝ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲪᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲔᲕᲜᲘᲔᲑᲔᲜ ᲗᲕᲐᲡᲚᲔᲑᲘ ᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲔᲠᲗᲝᲛᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲐ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲮᲛᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲑᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲣ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲛᲐ, ᲤᲘᲨᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ... ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ!

ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ.

1. ᲑᲝᲑᲘ: ᲛᲝᲠᲤᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ, ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲘᲧᲝ.

— რა თქმა უნდა, საინტერესოა რას ფიქრობდა ბობი წარსულისა თუ თანამედროვეობის მოწინავე დიდოსტატებზე. 1970 წელს მას სთხოვეს დაესახელებინა რომელიმე მოჭადრაკე, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა. ბობიმ უყოყმანოდ დაასახელა გენიალური ამერიკელი პოლ ჩარლზ მორფი, რომლის ცხოვრების გზა ძალიან ჰგავს თვით ფიშერისას.

პოლ ჩარლზ მორფი

ფიშერი: მორფი! ეს იყო ბრწყინვალე, ფანტასტიკური მოჭადრაკე.

● **რა იცით მის შესახებ?**

— წავიკითხე წიგნი მორფის ცხოვრებაზე, იგი წარმოშობით ახალი ორლეანის მდიდარი ოჯახიდან იყო, ცხოვრებაშივე საჭადრაკო ლეგენდად იქცა, იმოგზაურა ევროპაში, სადაც მისი შეტოქეები იყვნენ მოჭადრაკეები, რომელთაც მანამდე არასოდეს შეხვედროდა, ყველა დაამარცხა, ზოგთან თავდაპირველად წარუმატებლად თამაშობდა, მაგრამ მათ მანერას რომ შეეჩვია, ყველას გამანადგურებელი სტილით სძლია, ამასთან, მხოლოდ შედარებით სუსტ მეტოქეებს კი არა, ისეთებსაც, როგორიც ანდერსენი იყო. დაუმარცხებელი არავინ დარჩენია.

● **მორფს რომ თანამედროვე ტურნირებში ეთამაშა, როგორ ფიქრობთ, რა შედეგები ექნებოდა?**

— იგი კარგ შედეგებს მიაღწევდა, მაგრამ წინასწარ მოსამზადებლად 6 თვე დასჭირდებოდა. თუმცა, უამისოდაც თამამად შეეძლო დაფას მიჯდომოდა, ეთამაშა და მოეგო.

● **მისი მეტოქე რომ ფიშერი ყოფილიყო?**

— შეეძლო თუ არა ფიშერს მორფი დაემარცხებინა? დიახ, შეეძლო, მაგრამ მორფი უდიდესი მოჭადრაკე იყო, იშვიათი ნიჭის მქონე. ახლა მოჭადრაკეებმა ბევრი იციან, თეორია განვითარდა, სრულყოფილი გახდა. მორფისთვის საკმაოდ ძნელი იქნებოდა ოსტატებთან თამაში, ვინაიდან მათ თეორია ჩინებულად იციან.

● **თქვენს თავს ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ თვლით. ლასკერზე, კაპბლანკაზე, სტეინიცზე, მორფზე უფრო ძლიერად?**

— არ მიყვარს, როცა პრესაში ასეთ რამეებს წერენ, მაგრამ თქვენს კითხვას მხოლოდ დადებითად უნდა ვუპასუხო.

● **რატომ დაანება მორფმა, თქვენი აზრით, თავი ჭადრაკს?**

— შესაძლოა, მას გული გაუტყდა საჭადრაკო ასპარეზზე და თვით მოჭადრაკეებზე. მასზე განსაკუთრებით იმოქმედა სტაუნტონთან მატჩის ჩაშლამ. ამ მატჩზე მოლაპარაკების დროს სტაუნტონი ყოველნაირად ლამობდა თამაშის თავიდან აცდენას, მაგრამ ცდილობდა საქმის ვითარება ისე ეჩვენებინა, თითქოს თამაშს თვით მორფი გაურბოდა.

● **გთხოვთ დაახასიათოთ მორფის სტილი. რითი აიხსნებოდა მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით?**

— აღტაცებული ვარ მისი ფანტაზიით, მისი სტილით. მორფს მშვენივრად ესმოდა თავისი მეტოქეებისა, მთავარი კი სწორედ ესაა.

● **არის თუ არა, თქვენი აზრით, პარტია, მის სტილს ყველაზე ზუსტად რომ ახასიათებს?**

— ლამაზი გამარჯვება, რომელიც მან ბრაუნშვაიგის ჰერცოგთან და გრაფ იზუართან მოიპოვა, ეს იოლი პარტია იყო, მაგრამ ისტორიაში ხომ მორფის ბევრი იოლი პარტია დარჩა, როგორც შედეგი.

ახლა მოგვყავს ნაწყვეტი რობერტ ფიშერის სტატიიდან „ათი უდიდესი ოსტატი ჭადრაკის ისტორიაში“, რომელიც 1964 წელსაა დაწერილი:

„ფიქრობენ, რომ დღეს პოლ მორფი, ფუკი ჭადრაკს დაუბრუნდებოდა, უთუოდ წააგებდა თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეებთან. ეს აშკარად მცდარი აზრია. მატჩში მორფი ნებისმიერ თანამედროვე მოჭადრაკეს დაამარცხებდა. მორფი თავისი დროის ყველაზე ერუდიტებული მოჭადრაკე იყო. დანამდვილებით ცნობილია, რომ იგი იცნობდა ისეთ წიგნებს, როგორიცაა ბილგერის „ჰანდბუხი“ (1838 წელს გამოცემული ამ ნაშრომის მთელი 400 გვერდი სადებიუტო ანალიზებით იყო სავსე) და სტაუნტონის სახელმძღვანელო. ეს წიგნები ბევრად სჯობს თანამედროვე ნაშრომებს, ამ დროიდან არსებითად არ გაუმჯობესებულა ღია დასაწყისების თეორია, რაც შეეხება მორფის ბუნებრივ ნიჭს, იგი საკმარისზე მეტიც კი იქნება, რომ მას XX საუკუნის უძლიერესი მოჭადრაკეები დაამარცხებინა.

თამაშის სიზუსტეს თუ გავითვალისწინებთ, მორფი ამ მხრივ ჭადრაკის ისტორიაში ყველას სჯობდა. მას, შეიძლება ითქვას, დაფის აბსოლუტური ხედვა ჰქონდა, შეცდომები არასოდეს მოსდიოდა, თუმცა ძალიან სწრაფად თამაშობდა. იშვიათად, რომ სვლაზე 5 წუთზე მეტი ეფიქრა (მისი მეტოქეები ამავე სვლებზე საათობით ფიქრობდნენ. საჭადრაკო საათები მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა).



რობერტ ფიშერი (70-იანი წლები)

მორფის რამდენიმე ასეული პარტია გავარჩიე და მუდამ გაოცებული და აღტაცებული ვიყავი მისი გამომგონებლობით. ზოგჯერ 20 წუთიც კი მჭირდებოდა, რათა მორფის სვლებზე სწორი პასუხი მეპოვა. მძიმე პოზიციებში მორფი არასოდეს კარგავდა წონასწორობას, მოგების გზას პოულობდა თვით თითქოსდა უიმედო პოზიციებშიც კი. ამას უნდა დავუმატოთ დაბოლოებების თამაშის დიდებული ტექნიკა. მისი ერთადერთი ნაკლი, რომელიც ყველაზე ნათლად ანდერსენთან მატჩში გამოჩნდა, დახურულ დებიუტებში თამაში იყო. მაგალითად, ისეთში, როგორიც ჰოლანდიური დაცვაა. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი გონებაგამჭრიახობა მორფს ბრძოლის გამარჯვებით დამთავრების საშუალებას აძლევდა.

ცნობილია, რომ 1858 წელს მორფმა მიატოვა ჭადრაკი. მას იმდენად ჭადრაკზე არ ასცრუებია გული, რამდენადაც თვით მოჭადრაკეებზე“.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ

(გაგრძელება იქნება)

რა ხდება ქვეყანაზე

● ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ჩემპიონატში წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად (საუკეთესო ადგილი — IV შედეგი) მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპირანტერი, ოლიმპიური ჩემპიონი ლინფორდ კრისტი შეუყვანილია ქვეყნის ნაკრებში, რომელიც ბრიტანეთის ღირსებას დაიცავს გიოტებორგის მსოფლიო ჩემპიონატზე.

● 84 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲨᲘ გარდაიცვალა „ფორმულა-1“-ის ერთადერთი ხუთგზის ჩემპიონი არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო (დიაგნოზი — ფილტვების ანთება).

● ᲐᲨᲨ-Ს ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ განაცხადი გააგზავნა მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა მონიკა სელეშმა. იგი, როგორც ცნობილია, კორტზე არ გამოსულა 1993 წლის 30 აპრილის შემდეგ, როცა ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირზე დანის დარტყმით დაჭრა გერმანელმა მანიაკმა გიუნტერ პორხემ.

● 7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ლას-ვეგასში არ შედგება რიდიკ ბოუსა და ტომი მორისონის ადრე დაგეგმილი ბრძოლა. მათ ნაცვლად 4 ნოემბერს იმავე ლას-ვეგასში იასპარეზებენ ბოუ და ევანდერ ჰოლიფილდი. ისინი ორჯერ არიან შენახვედრი ერთმანეთს. 1992 წლის 13 ნოემბერს ბოუმ მოუგო საჩემპიონო შეხვედრა ჰოლიფილდს, სამაგიეროდ, ერთი წლის შემდეგ (1993 წლის 6 ნოემბერს) დაუთმო მეტოქეს ტიტული. ვარაუდობენ, რომ ახლანდელი ბრძოლის მონაწილენი ჰონორარის სახით 9-9 მილიონ დოლარს მიიღებენ.

● ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ გამოიკვლიეს, რომ „ტურ დე ფრანსის“ ტრასებზე ლიდერის მაისური ყველაზე დიდხანს ეცვა ლეგენდარულ ბელგიელს ედი მერქსს — 96 დღე. მეორე შედეგი აქვს, ასევე ლეგენდარულ ფრანგს ბერნარ ინოს — 78 (შეგახსენებთ, რომ ორთავე ველოსიპედისტი „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონია). მესამე ადგილზე გავიდა ამ პოპულარული რბოლის ახლანდელი მონაწილე მიგელ ინდურაინი (ესპანეთი), რომელსაც მეთორმეტე ეტაპის შემდეგ ლიდერობის 52 დღე ჰქონდა, ერთითი მეტი, ვიდრე კიდევ ერთ ლეგენდარულ ფრანგს ჟაკ ანკეტილს. მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ ჯერ არ დამთავრებულა და ინდურაინი ამ შედეგს, როგორც ჩანს კიდევ გაუუჭობესებს, ხოლო საბოლოო გამარჯვების შემთხვევაში ისიც ხუთგზის ჩემპიონი გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიგარო, რომელმაც ძლივს გაასწრო პოლკოვნიკის ტყვიებს

მის გვარს ვერ შეხვდებით ვერც ერთ საფეხბურთო გამოცემაში, ყოველ შემთხვევაში, მათ პირველ გვერდებზე. არადა, რუდი გუტენდორფი უნიკალური მოვლენაა ფეხბურთში. მისი გვარი დაამშვენებდა გინესის რეკორდების წიგნს. იგი გერმანელია, 70 წლისაა, მაგრამ შენახულია კარგად, ისე რომ, ასაკს ვერც შეატყობთ. ამჟამად ზიმბაბვეს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ავარჯიშებს, რომელიც მის სპორტულ პრაქტიკაში არც მეტი, არც ნაკლები 52-ე გუნდია. მსოფლიო რეკორდია? რა თქმა უნდა, თანაც არ დაგავიწყდეთ, მის ხელში გავლილ ბევრ კოლექტივს საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა.

— პირველად ბურთს ფეხი საფრანგეთში დავარტყი, — იგონებს მწვრთნელი. თამაში დამაწყებინა სამხედრო ტყვეების ბანაკის უფროსმა. ბანაკში იგი მოხვდა ომის შემდეგ. რუდი არაფერს ამბობს იმაზე, თუ სპორტის რომელი სახეობით იყო გატაცებული ომის დროს. მისი ნაცნობები იხსენებენ ირონიით, ტყვიის სროლა უყვარდაო...

— ბანაკის კომენდატმა, რომელიც წარმოშობით ელზასელი იყო, რატომღაც „თავი მოიკლა", რომ ფეხბურთელი გავმხდარიყავი. მაგრამ ჯანმრთელობა არ მივარგოდა და მალე მივხვდი, რომ ჩემგან ნამდვილი მოთამაშე არ დადგებოდა. მწვრთნელობამ კი, მართალი გითხრათ, გამიტაცა. როცა დავბრუნდი შინ, ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩამებარებინა გამოცდები და მწვრთნელის დიპლომი მიმეღო. ჩემი თავგადასავალი აქედან იწყება...

დიპლომიანმა მწვრთნელმა, რომელსაც, ამავე დროს, ავანტიურისტის სოლიდური მონაცემები ჰქონდა, ბუნებრივია, არ ისურვა გერმანიაში დარჩენა. თავდაპირველად იგი შვეიცარიას ესტუმრა. ექვსი წელი იმუშავა ლუცერნის ერთ-ერთ კლუბთან. ამბობს, რომ ეს სარეკორდო დროა მის სპორტულ კარიერაში. შვეიცარიის პერიოდი დამთავრდა 1960 წელს, მას შემდეგ, რაც გუნდს ქვეყნის თასი მოაპოვებინა.

დებიუტი, როგორც ხედავთ, ურიგო არ გამოდგა. ყოველ შემთხვევაში საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გფრ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს მწვრთნელი დაებრუნებინა უკან, სამშობლოში და... გაეგზავნა ტექნიკური სპეციალისტის თანამდებობაზე ტუნისში, სადაც ფეხბურთი ის-ის იყო იწყებდა განვითარებას, პროფესიონალები კი, ქვეყანას პრაქტიკულად, არ ჰყავდა.

ტუნისში დაჰყო 4 წელი და ისევ გამოიძახეს შინ. 1966 წლამდე გუტენდორფი დუისბურგისა და შტუტგარტის კლუბებთან მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდში შეამჩნიეს იგი ამერიკელებმა და მიიპატიჟეს როგორც „სოკერის პროპაგანდისტი აშშ-ში". რუდი, რა თქმა უნდა, დათანხმდა.

— ამ კონტრაქტმა საშუალება მომცა გადამენახა ფული სიბერისათვის. თანაც გავხდი შედარებით თავისუფალი ადამიანი, ვინაიდან არ ვიყავი დამოკიდებული კლუბების პრეზიდენტთა კაპრიზებზე. სამსახურიდან გაგდების პერსპექტივა არ მაშინებდა. მაგრამ, კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ, ფიფას პოზიციებიდან კანონგარეშე სპეციალისტად გამოვცხადდი, ისევე როგორც პუშკაში და კუბალა, რომლებიც თან მახლდნენ ამ მივლინებაში.

ეს მოგზაურობა ბოლოს და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ რუდი კვლავ გერმანიაში აღმოჩნდა.

— ბერმუდის პლაჟებზე პალმების ქვეშ ვისვენებდი და ვნებივრობდი, როცა ხელში ჩამივარდა ერთი უცხოური სპორტული გაზეთი, სადაც იტყობინებოდნენ, რომ მეშახტეთა გუნდს „შალკე-04"-ს კატასტროფა ემუქრებოდა. მაშინვე დავრეკე ტელეფონით გერმანიაში და... მწვრთნელის თანამდებობა თეფშით მომართვეს.

— სამშობლოში რომ დავბრუნდი, გაგანია ზამთარი იყო. შევკრიბე გუნდის წევრები, რომელთაგან ხუთნი, სხვადასხვა დროს ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავდნენ, გავაცანი ჩემი მუშაობის მეთოდიკა და ზოგიერთი საგონებელში ჩავაგდე. ჩემი ამოცანა მარტივზე მარტივი იყო: დაბნეული და დაქსაქსული მოთამაშეებისაგან შემექმნა კოლექტივი მტკიცე, გამძლე და ბრძოლისუნარიანი. სწორედ ამიტომ შეკრება მეორე დღეს დილის ექვსისნახევარზე დავნიშნე, რათა ყველანი ერთად ჩავსულიყავით... შახტაში. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ფეხბურთელებს ავუჩუყებდი გულს, მათში სიამაყის გრძნობას გავაღვივებდი. სხვათა შორის, გუნდი სწორედ მეშახტეთა ფულებით ცხოვრობდა...

იმ სეზონის ბოლოს „შალკემ" გფრ-ს თასი მოიგო. ამის შემდეგ რუდი გუტენდორფს „გადაუჭრელი პრობლემების სწრაფი მომგვარებელი" შეარქვეს. ამით იყო გამოწვეული მისი უეცარი მივლინება ჩილეში. შედეგი აქაც ტრიუმფალური გამოდგა: ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. მაგრამ პუტჩისტებმა გუტენდორფი ალიენდეს მეგობრად მიიჩნიეს და მან ძვლივს დაალწია თავი სახრჩობელას.

ამ პერიოდიდან იწყება მისი მოგზაურობა ერთი ქვეყნიდან მეორეში. იგი ხან „კერძო პირია", ხან გფრ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ზოგან მხოლოდ რამდენიმე კვირით ჩერდება, ზოგან — ერთი თვით ან ერთი წლით. იგი ხან ბოსტანაშია, ხან ტანზანიაში, ავსტრალიაში, ფილიპინებზე, დასავლეთ სამოაში და ასე გასინჯეთ, ირანშიც. აითოლამ მას მატჩის დროს სტადიონზე გამოჩენა აუკრძალა — აჭაოდა ურწმუნო უცხოელი არისო.

ყველა ქვეყნის ჩამოთვლა, სადაც კი უმუშავნია გუტენდორფს, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთი პერიოდის გამოყოფა მისი ბიოგრაფიიდან, ცხადია, შეიძლება. 1983-85 წლებში იგი იაპონიაში მუშაობდა და იყო ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელი მსოფლიოში. მუშაობდა ჩინეთში. კუნძულ ფიჯიდან ძვლივს გასწრო პოლკოვნიკ რაბუკის ტყვიებს. ამჟამად, როგორც ზემოთ ვთქვით, ზიმბაბვეში ავარჯიშებს ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ კამერუნელი „ლომები" დაამარცხა.

— ანეგდოტური სიტუაციაა, — იცინის გუტენდორფი. — ტომებს შორის შეურიგებელი ბრძოლის გამო იძულებული ვარ მოადგილეებად ავიყვანო ორივე დაპირისპირებული კლანის წარმომადგენლები, ხელფასს კი საუღის არაბეთში ვიღებ. ფულს რატომღაც ერთ-ერთი შეიხის ვაჟიშვილი მაძღევს. ჯერჯერობით კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ თუ ჩაიშალა მეგობრობა... მომიხდება ორმოცდამეცამეტე ცდაზე წავიდე.

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

„ფრიდრიხ დიდიდან" „ბებერ ფრიცამდე"

ფრიც ვალტერი

მსოფლიოში ბევრი არაა სტადიონი ცოცხალი ფეხბურთელის სახელი რომ ერქვას, აი, გერმანიის ქალაქ კაიზერსლაუტერნში კი არის ასეთი: „ფრიც ვალტერის სტადიონი", გარდა ამისა, არსებობს გერმანული შამპანურის ერთი მარკაც — „ფრიც ვალტერი".

დიახ, ფრიც ვალტერი (დაიბადა 1920 წლის 31 ოქტომბერს) გერმანიაში დღემდე მეტად პოპულარულია. რას არ ეძახდნენ მას: „ბერნის გმირს", „ფრიდრიხ დიდს", თანდათან „ბებერ ფრიცად" იქცა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულთა სითბო და ყურადღება არ მოკლებია...

საყურადღებოა, რომ ფ. ვალტერი ათეული წლების განმავლობაში ერთადერთ საკლუბო გუნდ „კაიზერსლაუტერნში" თამაშობდა, მას არც ოთხი წლით უმცროსმა ძმამ, ცნობილმა ცენტრფორვარდმა ოტმარმა უმტყუნა — ამავე გუნდში 20 წელი (1938-58) ითამაშა.

ფრიც ვალტერი გერმანულ ფეხბურთში შეუდარებელი დირიჟორი იყო. 1940 წელს „ბუნდესკაპიტანმა" (ჩვენებურად— ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა) ზეპ ჰერბერგერმა ფ. ვალტერი თავის გუნდში მიიწვია, ეს მატჩი რუმინეთის ნაკრებთან მაინის ფრანკფურტში გაიმართა და გერმანელთა გამარჯვებით დამთავრდა. ფრიადუჩვეულო ანგარიშით 9-3. რა თქმა უნდა, იგი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის დაუვიწყარი შეხვედრა იყო.

„ეჰ, რამდენი წელი დავკარგე", — ამბობს ფ. ვალტერი, როცა ომის პერიოდს იხსენებს. 40-იანი წლების მიწურულს იგი ევროპაში კარგად ცნობილი თავდამსხმელი იყო, 1951 წელს „მონების მყიდველმა" (როგორც მაშინ ამბობდნენ) ელენიო ერერამ იგი მადრიდის „ატლეტიკოში" მიიწვია, მაგრამ გარიგება არ შედგა.

ფრიც ვალტერს თავის სპორტული მიღწევების მწვერვალად 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მიაჩნია, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა. ვეტერანი გატაცებით უყვება „ბებერმა მელამ" ზეპ ჰერბერგერმა როგორ მოატყუა უნგრელები, როცა „დიდი გუნდის" წინააღმდეგ წინასწარ მატჩში თითქმის სათადარიგო შემადგენლობა ათამაშა და მშვიდად შეხვდა სასტიკ დამარცხებას (3-8), სულ რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანელებმა უნგრელები ფინალურ მატჩში დაამარცხეს (3-2) და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ფრიც ვალტერი ისე დირიჟორობდა თავის გუნდს, როგორც — მისი სახელგანთქმული მოგვარე ბრუნო ვალტერი სიმფონიურ ორკესტრებს.

ფრიც ვალტერმა ერთხელ კიდევ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც შვეიცარიაში გაიმართა. უკვე სულ სხვა ეპოქა დადგა, ვეტერანი 38 წლისა იყო, შვეიცარიასთან მატჩის (1-3) შემდეგ „ფრიდრიხ დიდი" ნაკრებს გამოეთხოვა.

გადის წლები. ფრიც ვალტერი პენსიაზეა, არაფერი აკლია, მეუღლე, რომელსაც მეტად იშვიათი სახელი, იტალია ქვია, კვლავინდებურად ისტუმრებს სტადიონზე და თანაც სთხოვს არ დაიგვიანოს, საღამოობით ხომ „ბებერი ფრიცის" საყვარელი ჩოგბურთელების შტეფი გრაფისა და ბორის ბეკერის მატჩების ტელეტრანსლაცია იწყება. მაშასადამე, ფეხბურთი და ჩოგბურთი თითქმის 80 წელს მიტანებული ფ. ვალტერის გატაცებაა, ნურც ყოველდღიურ ცურვას დავივიწყებთ.

„ბებერ ფრიცს" ძალიან უყვარს ადრინდელი და ახლანდელი გერმანული ფეხბურთის შედარება. „ნახევრად მილიონერი" (კიდევ ერთი მისი მეტსახელია) ხშირად ადარებს ერთმანეთს ძველ და ახალ გასამრჯელოებსაც. იგი, პროფესიონალი ფეხბურთელი და ნაკრების კაპიტანი, „კაიზერსლაუტერნში" ყოველთვიურად 320 მარკას იღებდა, მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, ჯილდოდ 2000 მარკა მიიღო. ამ თანხაზე ახლა ობერლიგის მეოთხე დონის კლუბის ნებისმიერ ფეხბურთელს გაეცინება, თუმცა თვით ფ. ვალტერს არაფერი უკვირს: „როცა „ბაიერნის" მოთამაშეებს სტადიონზე 70 ათასი მაყურებელი მოჰყავთ , რატომ არ უნდა მიიღონ კარგი ანაზღაურება?"

2000 წელს...

2000 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი გაიმართება ორ სახელმწიფოში — ბელგიასა და ჰოლანდიაში. თავდაპირველად ეს პროექტი გახლდათ, მაგრამ ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასკომმა იგი მოიწონა და 14 ივლისს ოფიციალურად დაამტკიცა ჟენევაში. თამაშები გაიმართება ამსტერდამში, როტერდამში, ეინდჰოვენში, არნემში (ჰოლანდია), ბრიუსელში, ბრიუგეში, ლიეჟსა და შარლერუაში (ბელგია).

ბოლო საგზურის ბედი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დირექტორატმა გამოაცხადა, რომ გათამაშების ბოლო, მე-16 საგზურის მფლობელი გამოვლინდება 13 დეკემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან ის გუნდები, ვინც თავიანთ შესარჩევ ჯგუფებში მეორე ადგილს დაიკავებენ, მაგრამ ყველაზე უარესი მაჩვენებლები ექნებათ.

ეს მატჩი შედგება ინგლისში, ლივერპულის „ენფილდის" სტადიონზე 13 დეკემბერს (შეჯიბრება საკვალიფიკაციო ჯგუფებში მთავრდება 13 ნოემბერს).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ლონდონის „არსენალში" მნიშვნელოვანი ცვლილებებია: კლუბს ჰყავს ახალი მწვრთნელი ბრიუს როჰი, სულ ახლახან მილანის „ინტერიდან" მიიწვიეს ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი დენის ბერგკამპი, მერე კი 4,75 მილიონ გირვანქა სტერლინგად კონტრაქტი გაფორმდა ინგლისის ნაკრების კაპიტან დევიდ პლატთან, რომელიც ბოლო ხანებში იტალიის „სამპდორიაში" გამოდიოდა.

● ალბანეთში ახალი წესი დაიკანონეს: ჩემპიონატის მატჩში გამარჯვებისთვის, როგორც ეს უწინ იყო, გუნდებს ეწერებათ 2 ქულა, გამარჯვება მეტოქის მინდორზე კი 3 ქულად ფასობს.

● შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის" მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები აღფრთოვანებით შეეგებნენ 28 წლის ნახევარმცველს პოლ გასკოინს, რომელიც რომის „ლაციოდან" ჩამოვიდა გლაზგოში კონტრაქტის დასადებად. ფასი ფრიად სოლიდურია — 4,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს თანხა სარეკორდოა შოტლანდიისთვის. პოლ გასკოინი, შეგახსენებთ, ინგლისის ნაკრების წევრიცაა.

● რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეას კანჩელსკისი აღარ აპირებს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩენას. თუმცა მისი ფასი საკმაოდ დიდია — 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი, მყიდველები მაინც არიან: „ბლეკბერნი", „ლიდსი", „მიდლსბრო".

ხორხე ბურუჩაგა:

«ყველაფერი ბოლომდე მაზღვევინეს!»

ფრანგულმა სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა ყველას, ვისაც რაიმე ბრალი დაედო კორუფციაში „ვალენსიენი"-„ოლიმპიკის" (მარსელი) მატჩთან დაკავშირებით. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი 32 წლის ხორხე ბურუჩაგაც. აი ნაწყვეტები მისი ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც ჟურნალ „ფრანს ფუტბოლში" გამოქვეყნდა:

● არგენტინაში გაკრიტიკებდნენ, რომ კორუფციაში გარეული აღმოჩნდით, თუ ცდილობდნენ თქვენს გამხნევებას?

— მე მხარს მიჭერდნენ, მით უმეტეს, რომ პატიოსნად ვილაპარაკე ყველაფერზე, რაც კი საფრანგეთში მოხდა. არგენტინელები მიხვდნენ, რომ შეცდომა მომივიდა, მაგრამ ამით მთელ ჩემს ცხოვრებას ხაზი როდი გადაესვა. ისინი დარწმუნდნენ, რომ მე ფული არ ამიღია, მაგრამ მზად ვარ დანაშაულისათვის დავისაჯო.

● რა დასკვნა გამოიტანეთ მომხდარის შემდეგ?

— რაც მე ამ წელიწადნახევარში განვიცადე, ჩემს შეცდომასთან რა შესადარებელია. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქმეში ბოლომდე არ გარკვეულა და მარტივი გადაწყვეტილება მიიღო — ყველაფერი მოთამაშეებისთვის გადაებრალებინა, მთავარი დამნაშავეები კი არ დაუსჯიათ.

● რას იტყვით ბერნარ ტაპის დაცემის შესახებ?

— იგი მე უკვე აღარ მაინტერესებს.

● დაბრუნდებით საფრანგეთში, თუკი ამას სასამართლო მოითხოვს?

— რა თქმა უნდა. მე არაფრის არ მეშინია.

● როდის გაგიჭირდათ ყველაზე უფრო მეტად?

— მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამედი მჭონდა, რომ დისკვალიფიკაციას გამიუქმებდნენ. კარგ ცნობებს ველოდი, მაგრამ, როცა თამაშის ნება არ მომცეს, ძალიან გავმწარდი, რომ ჩემთვის მესამე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა ვეღარ მივიღე. თავს ვგრძნობდი როგორც მოკრივე ნოკდაუნის შემდეგ რომ გამოერკვა, მაგრამ ახალი ძლიერი დარტყმის შემდეგ კვლავ იატაკზე აღმოჩნდა.

● რისი იმედი გაქვთ, ფეხბურთს რომ დაუბრუნდით?

ხორხე ბურუჩაგა

— „ინდეპენდიენტე" სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, ყველაზე მეტი წოდება სწორედ მას აქვს, ეს ის გუნდია, რომელიც ტრადიციულად სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. „ინდეპენდიენტეს" მიზანი ყოველთვის იყო არგენტინის ჩემპიონატში გამარჯვება და „კოპა ლიბერტადორესის" მოგება.

კრიმინალური ქრონიკა

მკვლელობა მედელინაში

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რაც შარშან მოხდა კოლუმბიაში: იქ სიცოცხლეს გამოასალმეს ამ ქვეყნის ნაკრების წევრი ანდრეას ესკობარი, მკვლელს საკადრისი სასჯელი მიუზღეს.

მაგრამ კოლუმბიაში მაინც არ ცხრებიან. იმავე ქალაქ მედელინაში მოკლეს ადგილობრივი კლუბის „ინდეპენდიენტეს" მოთამაშე არლეი ანტონიო როდრიგესი, მასთან ერთად იმსხვერპლეს მისი თანმხლები ყმაწვილი ბიჭიც.

მკვლელი ჯერ არ დაუკავებიათ, ბოროტმოქმედების მიზეზი გახლავთ როდრიგესის კუთვნილი მოტოციკლი.

«არსენალის» მწვრთნელი სასამართლოში

ლონდონის „არსენალის" ყოფილი მწვრთნელი ჯორჯ გრემი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საგანგებო კომისიის წინაშე წარსდგა. აქ საქმეს იძიებენ იმის თაობაზე, რომ ჯ. გრემს 1991 წელს უკანონოდ მიუთვისებია 425,5 ათასი გირვანქა სტერლინგი ნორვეგიელი ფეხბურთელის პალ ლიდერსენის და დანიელ იონ იენსენის შესყიდვის დროს. თვით ჯორჯ გრემს ეს ამბავი მხოლოდ ჭორად მიაჩნდა, თუმცა დამცველად ლონდონის ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი დაიქირავა. ძიებამ დაადასტურა ჯ. გრემის დანაშაული, მას ერთი წლით აეკრძალა ყოველგვარი საფეხბურთო საქმიანობა.

ნბა-ს ამბები

● **კალათბურთის** თამაშს დაანება თავი 37 წლის ბილ კარტრაიტმა („ჩიკაგო“). იგი სამჯერ ზედიზედ (1991-93) იყო ნბა-ს ჩემპიონი. მანამდე 9 სეზონი თამაშობდა „ნიუ-იორკში“, სულ კი პროფესიულ კალათბურთში დაჰყო 12 წელი. ამ ხნის მანძილზე დააგროვა 12,713 ქულა. ამჟამად იგი „სიეტლის“ კონსულტანტად ითვლება.

● **ნბა-ს დებიუტანტის** „ტორონტო რეპტორზის“ მწვრთნელად აირჩიეს 50 წლის ბრენდ მელოუნი. მისი, როგორც მოთამაშის კარიერა, დაიწყო სტუდენტთა კალათბურთში, 80-იან წლებში იყო „დეტროიტის“ მწვრთნელის ასისტენტი. ამ პერიოდში გუნდმა ორჯერ იზეიმა წარმატება — გახდა ნბა-ს ჩემპიონი. ტორონტოს კლუბის გენერალური მენეჯერის, აიზია თომასის აზრით, მელოუნი სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც ამ ახალგაზრდულ გუნდს სჭირდება.

● **„ნიუ-იორკ ნიკსიდან“** წავიდა მწვრთნელი პეტ რაილი, რომელსაც ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გუნდთან (15 მილიონ დოლარზე). მაგრამ როგორც კი გამოცხადდა, რომ იგი შეიძლება „მაიამმა“ მიიწვიოს, „ნიკსის“ პრეზიდენტმა დევიდ ჩიკეტმა კატეგორიული პროტესტი გამოთქვა, ნბა-ს კომისრის დევიდ სტერნის განცხადებით ამ კონფლიქტს განიხილავს კომისართა საბჭო აგვისტოში.

ურუგვაი ჩემპიონია!

ურუგვაიში დამთავრდა ამერიკის კონტინენტის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომლის ფინალურ ეტაპზე გამოდიოდა 12 სახელმწიფოს ნაკრები გუნდი.

ქვეჯგუფებში შეჯიბრებათა შედეგად გამარჯვებულები გავიდნენ მეოთხედფინალში. აქ საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ძველი მეტოქეების ბრაზილიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ (2-2), გამარჯვებულის გამოსავლენად დანიშნული დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 4-2.

ნახევარფინალებში გათამაშების მასპინძლებმა, ურუგვაელებმა დაამარცხეს კოლუმბიის ნაკრები — 2-0, ხოლო ბრაზილიელებმა უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლიეს აშშ-ს გუნდს — 1-0.

და, აი, ფინალი: ბრაზილია-ურუგვაი. მატჩი შედგა მონტევიდეოში და დამთავრდა ურუგვაელთა გამარჯვებით 6:4 — პენალტებით (ძირითადი დრო 1-1), თასიც მათ მფლობელობაში გადავიდა.

მესამე ადგილისათვის იბრძოდნენ კოლუმბიისა და აშშ-ს გუნდები, გაიმარჯვეს კოლუმბიელებმა — 4:1.

აინტერესებთ ქართული ფესვურთელები!

უცხოეთის გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ შემდგომი საფეხბურთო სეზონისთვის დორტმუნდის ცნობილ „ბორუსიაში“ შესაძლოა ჩარიცხონ ომარ თეთრაძე ორჯონიკიძის „ალანია-სპარტაკიდან“ და ოლეგ ვერეტენიკოვი ვოლგოგრადის „როტორიდან“. გერმანიის ჩემპიონი „ბორუსია“ კარგა ხანია დაინტერესებულია ო. თეთრაძეთი და მალე, როცა ამ კლუბს კონტრაქტი დაუმთავრდება ბ. შმიდტთან და ჟ. სეზართან, ეს დაინტერესება უფრო რეალურ ფორმებს მიიღებს.

კიდევ ერთი ცნობა: „ბორუსიის“ ტექნიკური დირექტორის ვალტერ მაასის სიტყვებით შესაძლოა სულ მალე ამ კლუბის იუნიორთა გუნდის შემადგენლობაში გამოვიდეს თბილისის „დინამოს“ 17 წლის ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი, რომელსაც ბომბარდირის საუკეთესო თვისებები აქვს.

ფეხბურთი

ამერიკა — დანარჩენი მსოფლიო

ეს მეტად საინტერესო საფეხბურთო მატჩი 30 ივლისს გაიმართება იაპონიაში ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე. იგი საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. ამერიკელთა შემადგენლობაში ჯერჯერობით თამაშის სურვილი განაცხადეს ჟორჟინიომ, ლეონარდომ, დუნგამ, ზინიომ (ბრაზილია), კ. ვალდერამმა, რინკონამ, ასპირილიმ (კოლუმბია), ხორხე დელიმ (პანამა)... მწვრთნელი — ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა.

დანარჩენი მსოფლიო — თომას რაველი („ზვეცია), მიშელ პრიუდომი (ბელგია), გვიდო ბუხვალდი (გერმანია), სალვადორე სკილაჩი (იტალია) და სხვანი. მწვრთნელი — ჰოფენსი (ინგლისი).

ამ მატჩის მოწყობის ინიციატორი ყოფილა ბრაზილიელი პელე და სწორედ ის შესრულებს პირველ, სიმბოლურ დარტყმას ბურთზე. შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაეცემა კობეში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებულთ.

ხუთი რგოლის გარშემო

● **როგორც** ოფიციალურად გამოცხადდა, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა ატლანტის ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისი. საორგანიზაციო კომიტეტს, თამაშების საზეიმო გახსნამდე ერთი წლით ადრე, ფაქტობრივად, არა აქვს პრობლემები. გრაფიკი დღეების სიზუსტითაა დაცული. საექსპლოატაციოდ უკვე მზად არის წყლის სახეობათა, მშვილდოსნობის, მძლეოსნობის, კალათბურთის, ველოსპორტის (ტრეკი, გზატკეცილი). ბალახის ჰოკეისა და ჩოგბურთის ბაზები. ოლიმპიური სტადიონი, რომელიც 85 ათას მაყურებელს დაიტევს და რომლის მშენებლობა 170 მილიონი დოლარი დაჯდება, მზად იქნება გაისად გაზაფხულზე. როგორც აღნიშნავენ, გრაფიკით მიდის ბილეთების გაყიდვა და სუვენირებით ვაჭრობა.

● **2004 წლის** ოლიმპიური თამაშების ხელისმაძიებელთა სიას დაემატა კიდევ ერთი კანდიდატი — იტალიის დედაქალაქი რომი, რომელიც ერთხელ 1960 წელს მასპინძლობდა (XVII) თამაშებს. ამ იდეას მხარს უჭერს იტალიის პრეზიდენტი ოსკარ ლუიჯი სკალპარო და პრემიერ-მინისტრი ლამბერტო დინი. ფიქრობენ, რომ ოლიმპიადა ხელს შეუწყობს იტალიაში ტურიზმის ახალი, მძლავრი ნაკადის მოზღვავებას. ოღონდ ეს კია, საჭირო იქნება საკმაოდ დიდი ხარჯის გაღება არსებული ბაზების რეკონსტრუქციისათვის და ახლების ასაგებად. კანდიდატთა კონკურსი მოხდება 1996 წლის 10 იანვარს.

● **ბრიტანეთის** ოლიმპიური გუნდის წევრთა ორმოცდაათი პროცენტი მოითხოვს დობინგის მიღებაში მხილებულთა სასტიკ დასჯას. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით დამნაშავემ სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მიიღოს.

● **ამ დღეებში** რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ვიტალი სმირნოვმა განაცხადა, რომ 18 ივლისს გაიმართება მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება. აქ დამტკიცდება სანკტ-პეტერბურგის კანდიდატურა 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე.

ლაურეატები და ნაკრები

სტენლის თასის გათამაშების შემდეგ ნხლ-ში განაწილდა ტრადიციული პრიზები, რომლებიც მიიღეს ცნობილმა და სეზონის მანძილზე გამორჩეულმა ჰოკეისტებმა:

ყველაზე სასარგებლო მოთამაშე — ერიკ ლინდროსი („ფილადელფია“)

საუკეთესო მცველი — პოლ კოფი („დეტროიტი“)

საუკეთესო მეკარე — დომენიკ გაშეკი („ბაფალო“)

წლის საუკეთესო მწვრთნელი — მარკ კროფორდი („კვებეკი“)

მცველის ტიპის ფორვარდი — რონ ფრენსისი („პიტსბურგი“)

ლიგის ჯენტლმენი — რონ ფრენსისი („პიტსბურგი“)

ლიგის ჰუმანისი — ჯო ნუინდაიკი („კალგარი“)

ლიგის სპორტსმენი — პეტ ლაფონტენი („ბაფალო“)

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — იარომირ იაგრი („პიტსბურგი“)

იმავე გათამაშების დამთავრების შემდეგ შედგა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ:

მეკარე — დომენიკ გაშეკი („ბაფალო“), მცველები — კრის ჩელიოსი („ჩიკაგო“) და პოლ კოფი („დეტროიტი“), მარცხენა გარემარბი — ჯონ ლეკლერი („ფილადელფია“), მარჯვენა გარემარბი — იარომირ იაგრი („პიტსბურგი“), ცენტრი — ერიკ ლინდროსი („ფილადელფია“).

ინფორმაცია

სერ სტენლი მეტიუზი კვლავ გამოვა მინდორზე! ეს 80 წლის კაცი 30 ივლისს ითამაშებს „კლივდონ თაუნის“ შემადგენლობაში მესამე დივიზიონის „ბრისტოლის“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში. იგი 15 წუთს დაჰყოფს მარჯვენა გარემარბის ადგილზე და საკმაო ჰონორარსაც მიიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი

აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის VIII-IX კლასებში შემდეგ სპორტულ განყოფილებებზე:

1. ფეხბურთი;
2. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
3. თავისუფალი ჭიდაობა;
4. ძიუდო;
5. მძლეოსნობა;
6. ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე);
7. ველოსპორტი;
8. ძალოსნობა (საჩხერის განყოფილება).

სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საყოფაცხოვრებო პირობებით, ერთჯერადი კვებით.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 26, 63, 191;
4. დახასიათება საშუალო სკოლიდან, სპორტული სკოლიდან;
5. პირადი საქმე (ჩარიცხვის შემდეგ);
6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
7. ფოტოსურათი (3:4) — 4 ცალი.

საბუთების მიიღება ა/წლის 1 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით 10-დან 14 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. გამოცდები ჩატარდება 23-31 აგვისტოს.

მისამართი: გლდანი. თიანეთის გზატკეცილი № 25ᵃ.

ტელეფონი: 67-58-02.

სასწავლებლის დირექცია

კროსვორდი



შვეულად: 1. მძლეოსნობის სახეობა, 2. შეფასება ძიუდოში, 3. სამთო ტურიზმის ცენტრი რუსეთში, 4. საფარიკაო იარაღი, 5. ცხენი, 6. ინდოელი მოჭადრაკე, 10. ცნობილი ჩოგბურთელი ქალი. 11. მსაჯი სტარტზე, 12. პროფესიონალ მოჭადრაკეთა ლიგის დამაარსებელი, 14. ცნობილი ინგლისელი ავტომობილისტი, 15. მძიმე წონაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი — თავისუფალი სტილის მოჭიდავე, 20. არბიტრი, 22. ახლო წარსულში მარნეულის საფეხბურთო გუნდი, 24. ცხენის სახელი, რომლითაც ურარტუს მეფე მენუა 22 წყრთაზე გადახტა, 25. სპორტის ზამთრის სახეობა, 26. ცურვის სტილი, 27. სსრკ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე ყირგიზეთის გუნდი, 29. სპორტული ჯილდო.

თარაზულად: 1. გამოსაკითხავი ფურცელი, 4. საჭიდაო ლეიბი, 7. მძლეოსნის ინვენტარი, 8. წარწერა-მინიშნება, 9 საფეხბურთო გუნდი დასავლეთ საქართველოში, 13 იალქნიანი ნავი, 16. შედეგი ჭადრაკში, 17. ბატერფლაით ცურვის ნაირსახეობა, 18. დისტანცია, მანძილი, 19. ქართული ავიაკომპანია, 21. რუსი ძალოსანი — მწერალი, 22. ერთ-ერთი მოძრაობა სიმძიმეების აწევაში, 23. ნორჩ ფეხბურთელთა პოპულარული კლუბი საქართველოში, 28. მეკარე, 30. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს უფროსი უეფაში, 31. ბურთის გადაცემა, 32. ფეხბურთელი — XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 33. შეტევა.

პროფესიულ რინგზე

● **ჯექსონში** (მისისიპის შტატი) მოხდა ჯორჯ ფორმენის ავტობიოგრაფიული წიგნის ახალი გამოცემის პრეზენტაცია. ამ შეხვედრაზე მოკრივემ განაცხადა, რომ თავის კარიერაში უკანასკნელ ბრძოლას ჩაატარებს 1995 წლის 31 დეკემბერს ან მაიკლ მუერერთან, ან რიდიკ ბოუსთან, ანდა ევანდერ ჰოლიფილდთან. მაგრამ თუ ტაისონი განაცხადებს თანხმობას ორთაბრძოლაზე, იგი პირველი ნომერი მეტოქე იქნება.

● **მაიკ** ტაისონის მენეჯერებმა განაცხადეს, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი ბრწყინვალე ფორმაშია. იგი იწონის 99 კილოგრამს, ფსიქოლოგიურად კარგადაა მომზადებული და დღესვე შეუძლია ბრძოლა პიტერ მაკნილთან. ოჰაიოს შტატში, სადაც იგი ვარჯიშობდა, ჰყავდა 12 სპარინგ-პარტნიორი, მაგრამ რვამ ვერ გაუძლო მის დარტყმებს და კონტრაქტი გაწყვიტა. ახლა ტაისონს დარჩა მხოლოდ ოთხი დამხმარე.

პატერსონის ღირსეული შვილი

მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ფლოიდ პატერსონის (ერთხელ დაკარგა ტიტული შვედ ინგემარ იოჰანსონთან ბრძოლაში) დაიბრუნა შვილი, 30 წლის ტრეისი პატერსონიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია — თანაც წარმატება აქვს მოპოვებული ორ სხვადასხვა წონაში.

პირველად იგი ჩემპიონი გახდა ვბს-ს ვერსიით 53,5 კგ წონაში. ამ დღეებში კი მან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ედ ხოპსონი და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა იბფ-ს ვერსიით 59 კგ წონაში. პატერსონ უმცროსის მიღწევები პროფესიულ რინგზე დღეისათვის ასე გამოიყურება: მოგება — 53, ფრე 3, წაგება — 1 (38 ნოკაუტი, რაც მჩატე წონის მოკრივისათვის იშვიათია).

„ლელოს“ 26-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად 1. მორელონი, 2. ბადრო, 3. დუბლი, 4. აპერკოტი, 7. სტენდი, 9. შეჯიბრება, 10. ბაკურიანი, 12. იუნიორი, 13. უდოდოვი, 18. ამუნიცია, 19. ანკესი, 20. კარტინგი, 24. ფაბრა, 25. ჰიმნი.

თარაზულად: 5. კომისარი, 6. ციგურები, 8. ფრისტაილი, 11. ჟოკეი, 14. კანოე, 15. ზუგდიდი, 16. „იბერია“, 17. „ადმირა“, 21. დრონოვა, 22. გუმბა, 23. უნარი, 26. დარასელია, 27. ბილიარდი, 28. თენსინგი.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

გაზეთის დღევანდელი ნომერი აწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯიღაური.

თბილისის იპოდრომის და სპორტის დეპარტამენტის საცხენოსნო ბაზის თანამშრომლები, ვამეხ გაჩეჩილაძის სახელობის პროფესიონალ და მოყვარულ ცხენოსნთა კლუბის წევრები თანაგრძნობას უცხადებენ გურამ კალმახელიძეს დედის გრდაცვალების გამო.